ხელშეკრულება № 25
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ
(კონსოლიდირებული ტენდერი № **CON150000004**

ქ. თბილისი 11 ნოემბერი 2015წ.

ერთის მხრივ, სსიპ ხულოს მუნიციპალიტეტის სოფ. ტაბახმელის საჯარო სკოლა შემდგომში -„შემსყიდველი“, წარმოდგენილი დირექტორის მ/შ: ოთარ გობაძის სახით და მეორეს მხრივ, შპს "სოკარ ჯორჯია პეტროლეუმი", შემდგომში - „მიმწოდებელი", წარმოდგენილი შპს „სოკარ ჯორჯია პეტროლეუმი“–ს იურისტის კახაბერ გოგოლაძის (პ/ნ 01006008662, თანახმად 23.04.2015 წლის მინდობილობისა დამოწმებული ნოტარიუს ნ.კაკოჩაშვილის მიერ (ინდ.#94986225599615, რეგ.#150396369)) სახით, ორივე ერთად წოდებული, როგორც „მხარეები“, ვმოქმედებთ, ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის 202 მუხლის, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2014 წლის 4 დეკემბრის №11 ბრძანებით დამტკიცებული ნავთობპროდუქციის (საწვავის) კონსოლიდირებული ტენდერის ჩატარების წესისა და პირობების და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის №9 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესით“ კონსოლიდირებული ტენდერის ფარგლებში საწვავის სახელმწიფო შესყიდვის თავისებურებათა გათვალისწინებით, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. გამოყენებული ტერმინების განმარტებები

ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

1.1. ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ (შემდგომში - „ხელშეკრულება“) - შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.

1.2. „ხელშეკრულების საორიენტაციო ღირებულება“ - საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.

1.3. „დღე“, „კვირა“, „თვე“ - კალენდარული დღე, კვირა, თვე.

1.4. „შემსყიდველი“ - ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.

1.5. „მიმწოდებელი“ - პირი, რომელიც ახორციელებს საქონლის მიწოდებას ამ ხელშეკრულების ფარგლებში.

1.6. „საქონელი“ - ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

1.7. ავტორიზებული ავტომანქანა - შემსყიდველის ავტომანქანა, რომელშიც მიმწოდებელმა უნდა უზრუნველყოს საწვავის ჩასხმა.

1.8. აგაი სისტემა - სისტემა/საშუალება, რომელიც უზრუნველყოფს ავტოგასამართი სადგურის პისტოლეტის და ავტორიზებული ავტომანქანის საწვავის ავზის ერთმანეთთან დაკავშირებას და იდენტიფიცირებას.

2.ხელშეკრულების საგანი

2.1. ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს „შემსყიდველის“ მიერ საწვავის შესყიდვა ერთჯერადად ან ეტაპობრივად 2015 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

2.2. ხელშეკრულების ფარგლებში, მიმწოდებელმა 2015 წლის 11 ნოემბრიდან ეტაპობრივად, მაგრამ არაუგვიანეს 2015 წლის 31 დეკემბრისა, უნდა უზრუნველყოს ყველა, შემსყიდველი ორგანიზაციის ავტომანქანის აღჭურვა აგაი სისტემით.

2.3. პლასტიკური ბარათებით საწვავის შესყიდვის შემთხვევაში ან საწვავის აგაი სისტემით მიწოდებისას, შემსყიდველი ვალდებულია მიმწოდებელს წარუდგინოს დანართი #2, რომელშიც ასახული იქნება შესასყიდი საწვავის ინდივიდუალური რაოდენობა, ავტორიზებული ავტომანქანების რაოდენობა (მარკა-მოდელი), რომლებშიც უნდა ჩაისხას დიზელი, გამოშვების წელი, თითოეულზე დაწესებული დიზელის ლიმიტები და სახელმწიფო სარეგისტრაციო ნომრები.

2.4. შემსყიდველის მიერ, ინტერნეტ ანგარიშით პლასტიკური ბარათების მართვის გამოყენების შემთხვევაში, შესაბამის ბარათებზე ლიმიტების ცვლილების, დაბლოკვის და სხვა ყველა სახის ცვლილებებზე პასუხისმგებლობა ეკისრება, თავად შემსყიდველ ორგანიზაციას (ინტერნეტ ანგარიშის ინსტრუქცია მოცემულია ვებ.გვერდზე http://www.sgp.ge).

2.5. საწვავის მიღება განხორციელდება მხოლოდ ხელშეკრულების დანართი #3–ში (ავტოგასამართი სადგურების სია) განსაზღვრულ ავტოგასამართ სადგურებზე.

2.6. ხელშეკრულებაში მითითებული შესასყიდი დიზელის მოცულობა, ხელშეკრულების ღირებულება და ავტომანქანების რაოდენობა საორიენტაციო ხასიათისაა და შესაძლებელია შეიცვალოს ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში.

3.ხელშეკრულების ღირებულება

3.1. ხელშეკრულების საორიენტაციო ღირებულება შეადგენს ~~200 ((ორასი) ლარს.~~ 194.56 ლარ CPV: 09100000

3.2. საწვავის საორიენტაციო მოცულობა, სახეობა და ერთეულის ფასი მოცემულია დანართ №1-ში, რომელიც შესაძლებელია შეიცვალოს ხელშეკრულების მოქმედების ნებისმიერ დროს. დანართი №1 წარმოადგენს ამ ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

3.3. ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს როგორც მისაწოდებელი საქონლის ღირებულებას, ასევე წინამდებარე ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებით მიმწოდებლის მიერ გაწეულ ყველა ხარჯს (გარდა ტრანსპორტირების